დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132. 132241991**

თარიღი:**17/07/2024**

დუშეთის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროგრამის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 აგვისტოს N21 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროგრამისთვის გათვალისწინებული იქნას 600 000 (ექვსასი ათასი) ლარი.
2. დუშეთის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნას არანაკლებ 3 (სამი) ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, რომელიც მოსახლეობის მიერ კენჭისყრის შედეგად შეირჩევა.
3. პროგრამის ფარგლებში ერთი დასახლებისთვის შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ერთი პროექტი.
4. გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში არაუმეტეს 200 ათასი ლარით დაფინანსდება ქალაქ დუშეთისათვის წარმოდგენილი პროექტ(ებ)ი, არაუმეტეს 200 ათასი ლარით - დაბების, ჟინვალის და ფასანაურისათვის წარმოდგენილი პროექტ(ებ)ი და არაუმეტეს 200 ლარით სოფლებისათვის წარმოდგენილი პროექტ(ებ)ი;
5. ერთი საპროექტო წინადადების განსახორციელებლად საჭირო სავარაუდო თანხა არ უნდა აღემატებოდეს 200 000 ლარს.
6. მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობის პროგრამის სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია, მერს წარუდგინოს წინადადებები პროგრამის ფარგლებში სამზე მეტი პროექტის დაფინანსების თაობაზე.
7. პროგრამას გააჩნია განხორციელების შემდეგი ეტაპები:

ა) მოსამზადებელი ეტაპი;

ბ) საპროექტო წინადადებების მიღების ეტაპი - 18 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით;

გ) საპროექტო წინდადებების პირველადი გადარჩევა - 5 აგვისტოდან 10 აგვისტომდე;

დ) კენჭისყრის ეტაპი - 12 აგვისტოდან 25 აგვისტომდე;

ე) გამარჯვებული პროექტის გამოვლენა 26 აგვისტოდან

ვ) პროექტის დამუშავება 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით - 2024 წლის 15 ნოემბრამდე;

8. პროგრამის განსახორციელებლად იქმნება სამუშაო ჯგუფი შემდეგი

შემადგენლობით:
ა) დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი - მანანა ნარიმანიძე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
ბ) მერის პირველი მოადგილე - ვასილ წიკლაური;
გ) მერის მოადგილე - ოთარ ჩხეიძე;
დ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დავით შაბურიშვილი;
ე) სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი - იოსებ ღარიბაშვილი;
ვ) ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - იაგო წოწკოლაური;
ზ) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - გვანცა ესტატიშვილი;
თ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ლევან მწითური;
ი) საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ნუკრი უნდილაშვილი;
კ) საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ასლამაზიშვილი;
ლ) შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი / დუშეთის მერთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წარმომადგენელი - აზა ჭონქაძე;
მ) მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი - თამარ გედევანიშვილი;
ნ) სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი - ნინო ხეხელაშვილი.

9. პროგრამის კოორდინატორებად განისაზღვრონ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები: მოწვეული სპეციალისტი სამართლებრივ საკითხებში ნოდარ კობიაშვილი და მერის თანაშემწე ხატია პირმისაშვილი.
10. დაევალოს მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობის ინფორმირება პროგრამის თაობაზე და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზაება.
11. დაევალოს მერიის საფინანსო სამსახურს, გამარჯვებული პროექტ(ებ)ი გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.
12. სამუშაო ჯგუფი საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 აგვისტოს N21 დადგენილებით დამტკიცებული მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.
13. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ.მცხეთა. სამხედროს ქ.N17).

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი